პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კვირა, 27 ივლისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ. ჩერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 558 ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ძირს იმპერიალისტური ომი! გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას!

ათი წლის თავზე.

დღეს შესრულდება სრული ათი წელი მას შემდეგ, რაც 1914 წელს პირველად გავარდა ზარბაზანი და თოფის წამლის სუნმა მოიცვა მთელი ქვეყანა.

ყველა შეძლებული სახელმწიფო ფეხზე დადგა; მობილიზაცია უყო ქვეშევრდომთ; მოხსნა მუშები ფაბრიკა-ქარხნებს, მოაცილა გლეხი მიწას და სახლკარს; მისცა მათ იარაღი და თავისავე ბედშივე მყოფ მუშისა და გლეხის გასაჟლეტად გაგზავნა.

მეფეებმა და კოროლებმა დაიწყეს ომი ახალი მიწების შესაძენად და სიმდიდრის მოსაპოვებლად. ხალხს კი ეუბნებოდენ, რომ ომს აწარმოებენ დაჩაგრული ერის განსათავისუფლებლად და რომ ეს ომი იქნება უკანასკნელი კაცობრიობის ცხოვრებაში.

ასე ატყუებდენ ისინი ხალხს.

მათ გვერდს უმშვენებდენ სოციალისტ-გამყიდველნი: მენშევიკები, ესერები და სხვანი. ეს ვაჟბატონები ომამდე მუდამ ომის წინააღმდეგ ილაშქრებდენ. ომის დაწყებისას კი ხალხს მოუწოდეს შეიარაღებულიყო და დაეცვა ტახტი მეფისა და კოროლის.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ ხელი მოაწერა სახელმწიფოს სესხზე, რომელიც საჭირო იყო გერმანელ და სხვა ქვეყნების მუშების ტყვიითა და აირით გასაჟლეტათ.

სოციალ-დემოკრატიამ უღალატა მუშათა კლასს და იგი წაიყვანა არა კლასიურ მტრის—ბურჟუაზიის საწინააღმდეგოდ, არამედ ამავე ბურჟუაზიის გასამაგრებლად და გასამდიდრებლად.

მეფეებმა, სოციალისტ გამყიდველებთან ერთად, მოატყუეს მშრომელი ხალხი, მოატყუეს მთელი მსოფლიო.

ოთხი წლის საშინელი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ ვერსალში დადვეს საზავო ხელშეკრულება; ომში დამნაშავეთ იცნეს მხოლოდ და მხოლოდ გერმანია, მაშინ, როდესაც ამ ხალხის ხოცვა ჟლეტაში ერთნაირად ედვა ბრალი ყველა ქვეყნის იმპერიალისტებს და მათთან შეხმატკბილებულ მეორე ინტერნაციონალს.

დღეს მსოფლიო იმპერიალისტები კვლავ ომით გვემუქრებიან. მათ ქვეყნებში ჟღარუნობს სამხედრო იარაღი.

დიდძალი ფული იხარჯება ომის საწარმოვო იარაღების დამზადებისათვის. შავი ყორნები მოსპობას უქადიან მსოფლიოს მუშათა კლასს.

ჩვენი პარტია წინეთაც და დღესაც სასტიკი წინააღმდეგი იყო, არის და იქნება იმპერიალისტურ ომის. ამიტომაც კომინტერნი მოგვიწოდებს ზიზღი და კრულვა გამოუცხადოთ იმპერიალისტურ ომს.

კომინტერნი გვაფრთხილებს მსოფლიო პროლეტარიატს მზათ ვიყვეთ მოსალოდნელ საზიზღროებისათვის და თუ ვინიცობაა კოროლებმა და მეფეებმა გაბედეს ხალხის ამოჟლეტისაკენ ნაბიჯის გადადგმა, მაშინ მუშებმა და გლეხებმა იარაღი უნდა მიმართოს არა მუშისა და გლეხის გულისაკენ, არამედ მსოფლიო მტარვალების საწინააღმდეგოდ, საწინააღმდეგოდ მუშის საერთო მტრისა, რომელიც არის ბურჟუაზია და მასთან შეკავშირებული სოციალისტ-გამყიდველები. ეს იმას ნიშნავს, რომ იმპერიალისტური ომი უნდა შეიქნეს სამოქალაქო ომი, ომი რომელიც ბოლოს მოუღებს მეფეების და კოროლების ბატონობას და დაამყარებს ძმობას, ერთობას, თავისუფლებას.

ძირს იმპერიალისტური ომი! ძირს მსოფლიო ბურჟუაზია! გაუმარჯოს სამოქალაქო ომს, რომელშიაც გამოიჭედება მსოფლიო პროლეტარიატის ბედი.

მოკავშირეთა კონფერენციის გარშემო.

კონფერენცია ხანგრძლივდება.

ლონდონში ფიქრობენ, რომ მახლობელი პლენარული სხდომა შეიძლება არც კი მოხდეს შემდეგ კვირამდი.

გერმანიის მოწვევის საკითხი ჯერჯერობით სრულიად გამოურკვეველია.

რეიტერის სააგენტოს ცნობით კი, მოკავშირეთა კონფერენციამ შეიძლება გასტანოს აგვისტომდე.

პუანკარეს ეშინიან კონფერენციის.

,,დეილი მეილ‘‘-ში მოთავსებულ წერილს პუანკარე შემდეგი სიტყვებით ათავებს:

,,თუ რომ გერმანიას საშვალება მიეცა თავის სასარგებლოდ გაათაოს საქმე, იმ შემთხვევაში ჩვენ ინგლისელებთან ერთად არაფერი დაგვრჩება გარდა იმისა, რომ დავჯდეთ და ვიტიროთ ჩვენი ქვეყნების ნანგრევებზე, წინაშე ჩვენ მიერ აყვავებულ მოვალის, რომელიც სიცილს დაიწყებს ჩვენს უბედურებაზე‘‘.

ახ. კომინტერნის კონგრესის საბოლოო სხდომა.

25 ივლისს, შესდგა ახ. კომინტერნის მე 4-ე კონგრესის საბოლოო სხდომა. კონგრესმა გამოიტანა რეზოლიუციები სხვა და სხვა საკითხზე.

პოლიტიკური კომისიის მოხსენების შესახებ კონგრესმა გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც მოწონებულია ახ. კომინტერნის აღმასკომის საქმიანობა.

შემდეგ მოხდა აღმასკომის არჩევნები 22 წევრისა და 6 კანდიდატის შემადგენლობით.

არჩევნების შემდეგ იტალიის დელეგაციის წარმომადგენელმა გადასცა სსრკ-ს კომკავშირს დროშა, რის შემდეგ კონგრესი დაიხურა.

ბალკანეთის ფედერაციის კომუნისტების კონფერენციის მნიშვნელობა

ბალკანეთის კომუნისტურ ფედერაციის კონფერენციის შესახებ, რომელიც დაიხურა მოსკოვში 18 ივლისს. ფედერაციის მდივანმა, გ. დიმიტროვმა, როსტას კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა: „კონფერენციამ დაამტკიცა, რომ ომის საშიშროების აშორება ბალკანეთზე, კომუნისტური პარტიის პირდაპირ ამოცანას შეადგენს.

უნდა მოხდეს მუშათა და გლეხთა ძალების მობილიზაცია და გაჩაღდეს ენერგიული კომპანია მოსალოდნელ საფრთხის თავიდან ასაშორებლად.

ძირს იმპერიალისტური ომი--გაუმარჯოს სამოქალაქო ომს.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაიწყეს უმაგალითო სისხლის ღვრა, იმპერიალისტური ომი, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს. გაუმაძღარმა პირსისხლიან ბურჟუაზიამ თავისი მტაცებლური გეგმების განსახორციელებლად, ახალი მიწებისა და ბაზრების დასაპყრობად, საერთაშორისო სოციალ-გამყიდველების საშვალებით, მოაწყო უდიდესი ხოცვა-ჟლეტა.

მრავალი მილიონები მშრომელებისა დაწვა ბრძოლის ველზე. ათეული მილიონები დარჩენ დაჭრილდასახიჩრებულნი. მოიშალა და განადგურდა ეკონომიური ცხოვრება.

მილიონობით გალატაკდენ და დაღარიბდნენ მუშები და გლეხები.

იმპერიალისტურ ომმა იმდენად დაანგრია და გაპარტახა მთელი ქვეყნის მეურნეობა, იმდენად დასცა საწარმოო ძალები, რომ თვით ბურჟუაზია უძლურია აღადგინოს მეურნეობა და ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს ომის მიერ აფორიაქებული ცხოვრება.

ომის შედეგების ხიმძიმეს გაცილებით ათჯერ მეტი სიმწვავით გრძნობს დღეს თითეული მუშა და გლეხი, ვიდრე ომის პირველ დღეებში, რადგან რაც დღე მიდის, მით უფრო და უფრო ღრმავდება ეკონომიური კრიზისი, გრძელდება მშრომელთა მასების გაღატაკება.

იმპერიალიზმი სრულიად არ არის დაინტერესებული პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრების მოგვარებით. მის მიზანს შეადგენს იმ სარგებლობის, მტაცებლური მიზნის მიღწევა, რომელიც მან დაისახა იმპერიალისტური ომის დაწყებით. ბურჟუაზია უფრო გაუმაძღარი, უფრო პირ-სისხლიანი გახდა. ის კვლავ ემზადება ომისათვის, ის კვლავ აშენებს სომარ გემებს ზღვაზე, ქმნის ძლიერ სამხედრო საჰაერო ფლოტს, ამზადებს მხრჩოლავ გაზებს; მას კვლავ სურს დაანთოს ახალი, უფრო მეტი საზარელი და განმანადგურებელი ომის კოცონი.

საერთაშორისო იმპერიალიზმი კვლავ ემუქრება მთელ კაცობრიობას ამოჟლეტით. ამ სისხლიან საქმეში მას მხარს უჭერს საერთაშორისო მენშევიზმი, მეორე მოღალატე ინტერნაციონალი.

მენშევიკები გახდენ მესამე ბურჟუაზიული პარტია. მათ ისევ სურთ დააბრმავონ მშრომელი ხალხი, მოატყუილონ გლეხი და მუშა დაუმორჩილონ ის კაპიტალისტებს.

მეორე ინტერნაციონალი, რომელმაც 1919 წელს გასცა მუშათა კლასი და ხელი შეუწყო მილიონობით მშრომელთა განადგურებას, დღეს ისევ გამოდის იმავე მოღალატის როლში, სურს კვლავ თვალი აუხვიოს მუშებს და გლეხებს და ისევ ჩააბას ის მომავალ სისხლის ღვრაში.

მაგრამ... საერთაშორისო იმპერიალიზმი თავის ერთგული მონა-მორჩილი—მენშევიკებით სასტიკად სტყუვდება.

მუშებმა და გლეხებმა უკვე მიუხვდენ მათ ზრახვებს.

დღეს მშრომელნი არ დაუშვებენ ახალ სისხლის ღვრის მოწყობას.

იმპერიალიზმის ცდაზე, გამართოს ომი, ისინი უპასუხებენ სამოქალაქო ომის გამართვით.

იმპერიალისტური ომის მოსპობა შეუძლია მხოლოდ სამოქალაქო ომს და მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.

დღეს მშრომელთა კაცობრიობას ყავს ერთგული დამცველი და ხელმძღვანელი მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი. მუშათა კლასს ყავს აგრეთვე თავისი წითელი შეიარაღებული ძალა—ინტერნაციონალური წითელი არმია.

იმპერიალისტური ომის ათი წლის თავზე დღეს მთელი ქვეყნის მუშები და გლეხები კვლავ აღამაღლებენ თავის ხმას ომისა და მსოფლიო ყაჩაღების წინააღმდეგ.

ომი—ომს! ძირს იმპერიალისტური ომი—გაუმარჯოს სამოქალაქო ომს! მშვიდობა ქოხებს—ომი სასახლეებს! აი დღევანდელი ლოზუნგები მსოფლიო პრლოლეტარიატისა!

საერთაშორისო მუშათა კლასის ხმას, დღეს შეუერთებს თავის მხურვალე პროტესტს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელნი!

დღეს წითელი არმია უფრო მაგრად ხელს მოუჭერს თავის წითელ ვინტოვკას და კიდევ ერთხელ შეფიცებს კომინტერნს, რომ ის მტკიცედ შეასრულებს მასზედ დაკისრებულ მოვალეობას დაუზოგველად ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ და მუშათა კლასის განთავისუფლება კაპიტალიზმის მონობისაგან.

ძირს იმპერიალიზმი—გაუმარჯოს კომუნიზმს! ძირს იმპერიალისტური არმია—გაუმარჯოს მსოფლიო წითელ არმიას—მშრომელთა ხალხის განმათავისუფლებელს და იმპერიალიზმის მესაფლავეებს.

—ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირს ყვითელი ინტერნაციონალი!

გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს--მშვიდობიანობისა და ხალხთა ძმობისათვის მებრძოლს

საჭიროა აღინიშნოს, რომ ბალკანეთის ცალკე ერთა დამარცხებას საერთო მნიშვნელობა აქვს მთელი ბალკანეთისათვის, ხოლო გამარჯვება შეიძლება ერთიანი მუშურ-გლეხური ფრონტით.

ბალკანეთის კომპარტიის შინაური მდგომარეობის საკითხში, კონფერენციამ გადაჭრით დაჰგმო ლიკვიდატორული გზები, განსაკუთრებით სამხრეთ-სლავიის კომპარტიის, კერძო ამხანაგების ოპორტიუნისტული პოზიცია ნაციონალურ საკითხში, კონფერენციის გადაწყვეტილება ბალკანეთის ერების გაერთიანებისა და შეკავშირების საქმეში.

დამოკიდებულება საფრანგეთთან.

თანახმად ლორდ-პარმურის განცხადებისა ლორდთა პალატაში, ინგლისის მთავრობამ უარყო წინადადება ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულებაზე სამხედრო გარანტიების შესახებ, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება ერთა ლიგის პრინციპებს, ხოლო მეორეს მხრივ ასეთი ხელშეკრულების წინააღმდეგ ერთხმად წავიდოდა ინგლისის დომინიონები''.

,,ხელშეკრულების მაგივრად'', განაცხადა პარმურა: ,,უნდა ვეცადოთ განიარაღებას''.

თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

დაიბეჭდა პროფესორ ვიქტორ ბაშის წერილი პოლონეთის თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

ბაში ამტკიცებს, რომ პოლონეთის მთავრობა ინკვიზიტორულ ზომებს ხმარობს პოლიტიკურ პატიმართა მიმართ და დაუშვებელ რეპრესიებს ხმარობს მუშათა და ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ,

ძირს ხოცვა-ულეტის გამომწვევი კაპიტალისტები, მათი ლაქიები შემთანხმებელნი—მენშევიკები და ესერები

საბჭოთა ფედერაციაში

სტიქიური უბედურება.

დიდი წვიმების გამო გადიდდა მდინარეები ამური, უსსური და ზეია. წალეკილია მრავალი სანაპირო სოფლები, და სახნავ-სათიბი. ადიდებულმა მდინარეებმა დაანგრია და წაიღო მრავალი რკინის გზის ხიდეები.

ბრძოლა წყალდიდობასთან.

კრასნოდარი. ადგეისკის ოლქში 45 ვერსის მანძილზე მდინარე ყუბანის, ბელაიას და პშეხოს სანაპიროებზე აგებულ იქნა ზღუდეები, რის მეოხებითაც დაცულია 9.500 დესეტინა სახნავი მიწა.

ძირს იმპერიალისტები, რომლებიც ამზადებენ ახალ ომებს, ძირს ხელისშემწყობნი და წამქეზებელნი—შემთანხმებელნი სოციალ-დემოკრატები.

შორეულ აღმოსავლეთში.

კარახანის ნოტა ჩინეთის მთავრობისადმი.

კარახანმა ნოტა გაუგზავნა ჩინეთის მთავრობას, რომელსაც სთხოვდა გადაეცა საბჭოთა კავშირისთვის შანხაის ნავთსადგურში მდგომი რუსეთის გემები: „მონგოლია“, „ელდორადო“, „ოხოტეკ“-ი და „ზაშჩიტნიკი.“

კარახანი ეხება ჩინეთის მთავრობის პასუხს, რომელშიაც უკანასკნელი აცხადებდა, რომ შეუძლებელია სრკ-ს გადავსცე გემები ისე, თუ წინასწარ არ მოველაპარაკე გემების ეკიპაჟს, რომელიც შესდგება 600 შეიარაღებული მეზღვაურებისაგან.

ამის გამო კარახანი სწერს:

„მე იძულებული ვარ გაკვირვება გამოვსთქვა ასეთი პასუხის გამო. თუმცა საკითხი გემების გადაცემის შესახებ უკვე აღძრული იყო 5 ივნისს, ჩინეთის მთავრობამ დღემდის არ მიაქცია მას სერიოზული ყურადღება და მხოლოდ დღეს სწერს ის რაღაც დაბრკოლებების შესახებ.

პირობის თანახმად ჩინეთის მთავრობამ არ უნდა მისცეს ადგილი თავის ტერიტორიაზე ასეთ ბანდებს, როგორიც თავმოყრილია გემებზე.

ამის გამო მე მოვითხოვ სასწრაფოდ მოხდეს განიარაღება და ლიკვიდაცია ამ ბანდისა.

ქვევით კარახანი აცხადებს; საბჭოთა მთავრობა ფიქრობდა, რომ ჩინეთს საკმაო ძალა ჰქონდა ამ საქმის შესასრულებლად.

საბჭოთა მთავრობას არ სურს თვით მოახდინოს ამ ბანდის ლიკვიდაცია წითელი არმიის საშვალებით, ვინაიდან, მისი აზრით, უმჯობესია, რომ ჩინეთის ტერიტორიაზე, ჩინეთის უფლებები დაცულ იქნას ჩინეთისავე სამოქალაქო და სამხედრო ძალებით“.

ქვევით საბჭოთა ელჩი მოითხოვს ამ საქმის სასწრაფოდ მოგვარებას, ვინაიდან ეს ბანდები ხშირად გამოდიოდენ ნაპირზე და აწარმოებდენ დაცემებს საბჭოთა მოქალაქეებზე.

ამ გარემოების გამო მოსალოდნელ შედეგებში პასუხის გებას კარახანი აკისრებს ჩინეთის მთავრობას.

„თუ ჩინეთის მთავრობა—ამბობს დასასრულ კარახანი—განაიარაღებს და ლიკვიდაციას მოახდენს ამ ბანდებისას, საბჭოთა კავშირს არაფერი ექნება საწინააღმდეგო მათი საბჭოთა ტერიტორიაზე დაბრუნებისა“.

რადიო ყოველ მხრიდან.

შრომის საერთაშორისო მდგომარეობა.

პრაგაში გაიხსნა პირველი საერთაშორისო ყრილობა შრომის სამეცნიერო ორგანიზაციისა.

ყრილობამ მოისმინა საბჭოთა კავშირის დელეგატების მოხსენებები შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის დელეგატების მოხსენებამ და საბჭოთა გამომცემლობის გამოფენამ, დიდი ინტერესი გამოიწვია ყრილობაზე.

პურის კრიზისი რუმინეთში.

ნაკლები მოსავლიანობისა და სპეკულიაციის გამო, რაიც გამოიწვია რუმინეთის ვალიუტის დაცემამ, ბუქარესტში საგრძნობლად შემცირდა პურის რაოდენობა ბაზარზე. აუარებელი წისქვილები გაჩერებულია უსაფქვაოდ.

მინისტრების კაბინეტის განკარგულებით, მთელ რუმინეთში ნება დართულია მხოლოდ შავი პურის ცხობა.

შაურიანების დაკვეთა.

ინგლისის ფინანსთა მინისტრმა სნოუდენმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ლონდონის ფულის მჭრელმა განყოფილებამ დაუკვეთა საბჭოთა მთავრობას 4.000.000 თითო შაურიანების დამზადება.

ძირს ყაჩაღური საზავო ხელშეკრულებანი, რომლებიც იმპერიალისტებმა თავზე მოახვიეს ხალხებს.

მეტი თვითმოქმედება, მეტი უნარიანობა.

აი რა უნდა ახასიათებდეს თვითეულ წითელ-არმიელს.

სამხედრო დებულებანი გვასწავლის სიტყვა შეუბრუნებლად და დაუყოვნებლივ ავასრულოთ უფროსის ყოველი კანონიერი განკარგულება და ბრძანება.

სამხედრო წყება მით განსხვავდება უბრალო ხალხის ჯგუფიდან, რომ იქ ყველა, როგორც ერთი, მოქმედებს.

ამ წამში სმენათ მდგარი, სარისებრ ჩასობილი წითელ არმიელები, ერთი სიტყვის მიცემით ან მარჯვნივ ან მარცხნივ, ისე სწრაფად და მარდად შემოტრიალდებიან, რომ გეგონება ეს არის მიწა ჩააქციესო.

თავისთავად ცხადია, სამხედრო მეცნიერებას გვასწავლიან დაჭვრების დროსთვის.

ეს დაჭვრების დრო არის სამხედრო ასპარეზი. იქ ყველაზე უფრო საჭიროა კარგი თავის მქონე უფროსი, რომელიც დროზე შენიშნავს ყოველივეს და ყოველთვის წინასწარ მიიღებს საჭირო ზომებს, რათა მისი სამხედრო ერთეული უფრო ნაკლებ იყოს მტრის ცეცხლის საშიშროების ქვეშ.

მაგრამ არის საზღვარი უფროსის მიერ სამხედრო ერთეულის მართვისა.

თუ მტრიდან, აშორებით ყოფნის დროს, ყველა, დაწყებული პოლკის უფროსიდან განყოფილების უფროსამდე, საშუალებას პოულობენ რწმუნებულ ერთეულის ხელმძღვანელობისა, მტრის მახლობლად ასე არ არის.

დაახლოებით ათასი ნაბიჯისა მტრიდან, სამხედრო ერთეულის თვითეულ წევრის წინაშე სდგება საკითხი საკუთარი უნარის, საკუთარი ნიჭის გამოჩენისა.

ამის გარეშე სხვა რამეზე ფიქრი ზედმეტია. ეს დრო ყველა დროზე სერიოზული და რთულია სამხედრო ერთეულისათვის.

და ეს უკანასკნელი მდგომარეობა კიდევ უფრო მეტ საჭიროდ ქმნის ყველა წითელ არმიელის მიერ საკუთარი უნარის თვით მოქმედების რაც შეიძლება მეტ გამოჩენას.

აი ამიტომ ჩვენ თავიდანვე უნდა ვეცადოთ აღვზარდოთ წითელ არმიელი ისე, რომ მას შეეძლოს საკუთარი ნიჭის გამოჩენა; ავზარდოთ ისე, რომ მტრის ცხვირის წინ ყოფნის დროს, როდესაც მიახლოვების ჟრუანტელი ტანში უვლის იგი არ იკარგებოდეს, მას არ ეპრევებოდეს უფროსის ჩიჩინი.

მეტი უნარიანობა და მეტი თვითმოქმედება უნდა გამოვიმუშაოთ ჩვენს წითელ არმიელში.

ვ.

რატომ ხდება ადამიანი ავად.*)

(წითელ არმიელისათვის).

როდესაც მიკროორგანიზმი ადამიანის სხეულში შეიჭრება და სათანადო ნიადაგს პოვებს, ის იქ იწყებს გამრავლებას. ამასთან ერთად ის გამოყოფს შხამს, ეს შხამი არღვევს წონასწორობას და ადამიანი ხდება ავად.

უპასუხებს თუ არა ჩვენი სხეული მიკროორგანიზმს?

ბუნებას ადამიანი დავიწყებული არა ყავს. მან მისცა კაცს აუარებელი ჯარი ავადმყოფობასთან საბრძოლველად. ამ ჯარს თეთრი სისხლის ბურთულები ქვია. ეს ბურთულები სისხლის შემადგენელი ნაწილია.

გახდება თუ არა ადამიანი ავად, ეს ბურთულები მაშინვე ფეხზე დადგებიან, წავლენ და მიაშურებენ იმ ადგილას, სადაც ავადმყოფობა ბუდობს. ეცემიან მიკროორგანიზმს დაიწყება ამათ შორის ომი.

თეთრი ბურთულები ცდილობენ, ან მოსპონ სულ ავადმყოფობის მიზეზი, ან ისე შეასუსტონ ისინი, რომ არსებობა და მავნებლობა აღარ ძალუძდესთ.

გარდა ამისა ავადმყოფი სხეული გამოყოფს შხამის საწინააღმდეგო ნივთიერებას. ეს ნივთიერება აბათილებს შხამის მოქმედებას და იცავს ამ რიგად სხეულს.

ასე რომ თვით ადამიანის სხეული აუარებელ ჯარით ებრძვის ავადმყოფობას.

მაგრამ ჩვენ ამას ვერ დავსჯერდებით.

ძველთა ძველიდან შემოღებული იყო ამ ბრძოლაში ხელოვნური დახმარება.

ეს არის მკურნალობა.

მაგრამ მკურნალობა სოფლის ბებრის შელოცვით-კი არა, არამედ ამისათვის განსაკუთრებულად მომზადებული პირისაგან—ექიმისაგან.

ექიმმა იცის, თუ როგორ უნდა გამოიკვლიოს ესა თუ ის ავადმყოფობა, იცის შემდეგ თუ რა წამლით და როგორ უნდა კურნოს ის.

ამიტომ გახდები თუ არა ავად, ექიმს უნდა მიმართო. ის გამოგიწერს წამალს.

აი ამ ორი გზით: სხეულის საკუთარი ბრძოლით და ექიმის დახმარებით შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ ავადმყოფობა.

მხოლოდ ამას უეჭველად უნდა დაემატოს ჩვენის მხრით დაცვა იმ წესებისა, რომელსაც ექიმი გვეტყვის.

სოფლად ცუდი წარმოდგენა აქვთ წამალზე. წამალი ყველა და ყველასთვის—წამალი გონიათ. ეს მართალი არ არის.

სინამდვილეში ყოველი წამალი შხამია. ასე, მაგალითად, ქინაქინა, რომ ჯანსაღ ადამიანს მისცეთ არ მოუხდება, პირიქით აწყენს. ციებიანს კი მოარჩენს. გარდა ამისა არ შეიძლება ქინაქინა დალიო რამდენიც გინდა და რამდენჯერაც.

თუ ხშირად დალია ან ერთხელ და ბევრი, მორჩენის მაგივრად ფეხებს გაგაფშიკინებიებს.

სოფლად-კი, როდესაც ავადმყოფს ექიმი წამალს მისცემს, ჭირისუფალი მასაც ასმევს და მეზობელსაც იმადლიერებს: „დალიე, შე ქალო, წამალია, თუ არ მოგიხდა, ხომ არ გაწყენსო“.

ეს ასე არაა.

წამალი—წამლად წამალია, ისე კი შხამია.

ამ რიგად ჩვენ ვიცით, რომ ადამიანი ხდება ავად არა ღმერთის და ბედის წყალობით, არამედ ამა თუ იმ ავადმყოფობის გამომწვევი მიკროორგანიზმის სხეულში შეჭრით, გამრავლებით და შხამის გამოყოფით.

გარეშე ამ მიკროორგანიზმებისა ავადმყოფობის გამომწვევი არავინ და არაფერია.

ეს უნდა ვიცოდეთ ჩვენ და ჩვენი საბრძოლველი საშუალებანიც სენის წინააღმდეკ მიმართული უნდა იყოს მიკროორგანიზმის მოსასპობად.

დახმარების გაწევა შეუძლია ექიმს და არა სოფლის ექიმ-ბაშებს.

პ. ბ—ძე.

---

*) იხ. ჩვენი გაზეთი № 557.

ჩვენს წითელ კარვში

ჩვენი შეხვედრა ბატარეიელებთან.

21 ივლისია.

ჩვენი პირველი ლეგიონის საღამოს სამხედრო მეცადინეობა ადრე შეწყდა. ლეგიონის ორკესტრი ყაზარმებიდან ბანაკში ამოვიდა.

სამხედრო მეცადინეობისაგან განთავისუფლებული, კარვებში გაფანტული წითელი მოლაშქრეები, მეთაურებს გამოყავთ და ხაზზე აწყობენ.

უფ-პოლიტ-შემადგენლობაც სრულათ აქ არის.

დღეს ჩვენს ლეგიონს ემატება ახალი ნაწილი, რომელიც დარჩება აქ. ჩვენც ზეიმით ვხვდებით ამ ახალ სტუმრებს.

ეს არის ბატარეა.

ჩამწკრივებული ლეგიონი უცდის მათ.

მუსიკა დრო გამოშვებით უკრავს. წითელ მოლაშქრეებს მოუთმენლობა ეტყობათ. ახალწვეულთა უმრავლესობას არც კი უნახავთ ზარბაზანი.

აგერ, შორიდან მოისმის მხიარული სიმღერა და მოსჩანს რამოდენიმე ოცეულიანი რიგები.

მოგვიახლოვდენ.

ბატარეია გვეგონა, მაგრამ აღმოჩნდენ ყარაულიდან დაბრუნებული ჩვენი წითელი მოლაშქრეები. მოგვიახლოვდენ.

დაიგუგუნა მუსიკამ და დაღლილი მწკრივები გაემართენ კარვებისაკენ.

მოდიან მეორე, მესამე, და გარნიზონის ყარაულის სხვა ნაწილები.

შიკრიკი გვატყობინებს, რომ ბატარეია გვიახლოვდება. ცოტა ხანი და ახლო მაღლობიდან გამოჩნდა ნელა მომავალი რამოდენიმე ცხენოსანი.

რიგები სწორდება. მუსიკა ემზადება დასაკრავათ.

ცხენოსანთა რიცხვი მატულობს

ეს არის ბატარეა.

ბატარეია მოუახლოვდა ბანაკის ჭიშკარს.

სმენა, სალამი!

გაისმა ბრძანება.

ბატარეია შესდგა ლეგიონის პირდაპირ. რიგებში სამარისებური სიჩუმე. მოსჩანს აქაიქ ცხენებზე მჯდომთა აწეული ხელები, მოღუნული ფიგურები და მუსიკის ხმაზე ცხენების გავლა.

„ვაშა“, გაისმა თავ-შეუკავებელი გრიალი, რომელმაც დაფარა მუსიკის ხმა.

ატყდა „ვაშას“ შეუწყნარებელი ძახილი.

ბოლოს ბატარეიელებს ესალმება ლეგ. სამხკომი.

ისევ „ვაშა“.

ლეგიონი დაიშალა კარვებში და ბატარეიაც გაეშურა თავისი ახალ ბინებისაკენ.

გ. ძ—ია.

პრაქტიკაზე.

უფროს მეთაურთა სკოლის უფროსი კურსანტები, სამწყობრო- სამოსწავლო ნაწილის მიერ, გადაგზავნილი იქნენ პირველ ლეგიონში და ნაწილიც უნცროს მეთაურთა სკოლაში. მიზანია, წითელ არმიელების სწავლებაში გაწვრთნა და პრაქტიკული დახელოვნება.

აქედან ორნაირ სარგებლობას ვღებულობთ: ერთი ის, რომ მომავალი წითელი მეთაურები სათანადოთ გაიწვრთნებიან. და მეორე კი სრულიად გაგვაცნობს და ნათელ წარმოდგენას ვიქონიებთ თითეულ მეთაურის შესახებ.

თითეულ მათგანს თან აქვთ უბის წიგნაკები, სადაც ეწერებათ ნაწილის უფროსის მიერ თუ როგორ ცოდნას იჩენს სწავლების დროს, როგორ ეპყრობა წითელ მოლაშქრეებს, როგორი პოლიტიკური ცოდნითაა აღჭურვილი და სხვა.

სკოლაში დაბრუნების შემდეგ უბის წიგნაკები წარედგინება სკოლის სამოსწავლო ნაწილის უფროს.

ეს წიგნაკები საუცხოვო საბუთები ექნებათ კურსანტებს გამოშვების დროს. ის იქნება ამა თუ იმ კურსანტების მთელი ავლა დიდების შეფასება.

იმედი გვაქვს ასეთი გზით სახელოვან და ღირსეულ მეთაურებს გადავსცემთ ჩვენს ლეგიონებს.

ჭკადუა.

1-ლ ცალკე საკავშირო ასეულში.

ივლისში შესდგა 1-ლ ცალკე საკავშირო ასეულის აქ დარჩენილ წითელ არმიელთა და უფ-პოლიტ-შემადგენლობის საერთო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა წით.-არ. ამხ. გიოშვილი.

დღის წეს-რიგში იყო:

1. მოხსენების გაგრძელება კოოპერაციის შესახებ, რომელიც წინა კრებაზე არ დათავდა;
2. საჰაერო ფლოტის შესახებ;
3. მოხსენება საკარვო მუშაობის შესახებ, და
4. მიმდინარე საკითხები.

პირველ კითხვაზე ილაპარაკა ამხ. ს. ლომიძემ, რომელმაც ყოველ მხრივ გააშუქა კოოპერაცია და მისი განვითარების ისტორია.

მოხსენებით ძალიან დაინტერესდენ წითელ არმიელები და მრავალი შეკითხვები მისცეს ამხ. მომხსენებელს, რომელმაც დააკმაყოფილა არმიელები.

საჰაერო ფლოტის შესახებ მოკლე და გასაგები მოხსენება გააკეთა ამხ. კუ-ალპედიანმა, მან სიტყვის დასასრულს მოუწოდა ყველას—ჩაეწერონ ავიაციის აღორძინების მეგობართა საზოგადოებაში.

მოხსენების შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

ბანაკში მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ბანაკიდან ახლად დაბრუნებული ამხ. ნ. გიორგაძე, რომელმაც გააცნო კრებას საკარვოდ გასული ასეულის მდგომ-ბა. აქ ჩვენს წინაშე გადაიშალა ჩვენი ასეულის ცხოვრების საერთო სურათი, მისი მოღვაწეობა სოფლად, გლეხებისადმი დახმარება, სოფლებში „კულტურულ ფრონტის გაშლა და სხვა. ამხანაგის ცნობიდან გამოირკვა, რომ ასეულმა მიუხედავად ცუდი პირობებისა ბევრი რამის გაკეთება შესძლო.

იყო მრავალი საგულისხმიერო შეკითხვები: საიდანაც გამოირკვა, რომ აქ დარჩენილ საკავშიროელებს მეტად აინტერესებთ ბანაკად გასულთა ცხოვრება.

ხ.

მეორე ლეგიონი საზაფხულო კლუბში.

პარასკევია. მოულოდნელად გაისმა ძახილი ასეულებში.

ახმაურდა არე-მარე. ასეულები გამოდიან ეზოში და ეწყობიან.

გაისმის: „მარჯვნივ“, „მარცხნივ“ „მარჯვენა მხარე წინ“!

ამხ. ჩიხლაძე მოუძღვის წინ ლეგიონს... შემოსძახეს სიმღერა, აკრიმანჭულდა ხმები.

სრულიად შეუმჩნევლად გავიარეთ მთელი მანძილი გარნიზონის ბაღამდე.

წითელი არმიელები გაექანენ კინოსაკენ... აუარება ხალხი მისჩერებია ეკრან კამარას... არმიელებიც თავსდებიან ზოგი იქ, ზოგი აქ.

მიდის რევოლიუციონური ხასიათის სურათი.

ამხ. წულუკიძე ქართულად უთარგმნის არმიელებს ეკრან კამარის წარწერებს.

„შენი ჭირიმე დედავ, როგორ წაჰკრა კისერში იმ დიდ ქუდიანს აჰ?

„სწორედ ტრაპიზონი დაანახაო ესაა“—ამბობს მეორე.

არმიელების საერთო სიცილი იცავს იქაურობას.

— აბა ბიჭებო კონცერტი, კონცერტი--გაისმა ვიღაცას ხმა.—აქეთ, აქეთ.

ყველანი მიეშურებიან ესტრადისაკენ. აქაც დამატკბობელი მუსიკა. არმიელების კმაყოფილებას საზღვარი არა აქვს.

ბოლოს იმართება პროლეტარული პოეტების გამოსვლები.

რევოლიუციონურ მცხუნვარებას ნაზიარები ლექსები ჟრუანტელად გვივლის ტანში.

საღამომ მეტად გვასიამოვნა. დავეწყვეთ, ჩვეულებრივი ბრძანებები და კვლავ სიმღერით გავეშურეთ ჩვენი სადგომი ბინისაკენ.

შენი ვარ.

რას ვაკეთებთ.

19 ივლისს, ქ. მ. დ. ც. საკ. ასეულში მოწვეული იქნა წითელ არმიელების და უფ პოლიტ შემადგენლობის საერთო კრება. დღიურ წესრიგში იყო:

კომინტერნის მე-5-ე კონგრესის მუშაობის შესახებ, კულტ განმანათლებელ კომისიის მუშაობის ანგარიში, კულტ განმანათ. კომისიის არჩევნები, სამნეო ჯგუფის მუშაობის ანგარიში და არჩევნები.

კომინტერნის კონგრესის მუშაობა გააშუქა ამხ. სურგულაძემ. მან აღნიშნა თუ როგორ გადაჭრა სხვა და სხვა საკითხები და საერთოდ რა დაუმატა მე-5-ე კონგრესმა მე-4-ე კონგრესის მუშაობას.

შეკითხვებს მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა, რის შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუცია.

კულტ განმ. კომისიის მუშაობის ანგარიში გაგვაცნო კომისიის თავმჯდომარე ცხადაძემ. მოხსენებიდან გამოირკვა, თუ როგორ უმუშავია აღნიშნულ კომისიას, რომელიც ზოგიერთი დეფექტების აღნიშვნით კრებამ დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

მოხსენების შემდეგ აირჩიეს ახალი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კოპალეიშვილი, სურგულაძე, ერთაწმინდელი, ჩხიკვიშვილი და ცხადაძე.

სამნეო ჯგუფის მუშაობაზე მოხსენებამ, გამოიწვია ახალ წვეულ წითელ არმიელების მრავალი შეკითხვები. მაგალითად: რაზე იხარჯებოდა საშეფო ფული წესდების ძალით, რატომ ორი კერძი არ კეთდება სადილათ და სხვა ამ გვარი. შეკითხვებს სათანადო პასუხი გასცეს სამნეო ჯგუფის წევრებმა. ჯგუფის მუშაობა საშვალოდ დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი და ყველა დეფექტები აღინიშნა რეზოლიუციაში, რის შემდეგ მოხდა ჯგუფის წევრების გადარჩევა. არჩეული იქნა აგრეთვე ნაწილის სამხედრო კორესპონდენტი და კრებაც დაიხურა.

სერმონია.

საერთაშორისო ომის ათი წლის თავზე.

(დასასრული)

მეომარ სახელმწიფოებმა რომ დაფარონ ომის საჭიროებისათვის აღებული ვალები, ყოველმა მოქალაქემ, როგორც ამის წინა წერილში ვწერდით, უნდა შეიტანოს სახელმწიფო ხაზინაში ვალების დასაფარავად ცხრაასი მანეთი. ეხლა ამ წერილში ჩვენ მოვიყვანთ ცნობებს პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადების რაოდენობაზე და მის ზრდაზე ომის გამო.

გადასახადები.

ილინოის შტატის (ამერიკა) უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორს ერნესტ ბოგარტს თავის წიგნში: „პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადები“ მოყავს ცნობები, თუ რა დაჯდა იმპერიალისტური ომის წარმოება დოლარებში.

პირდაპირი გადასახადები ომის საწარმოებლად 186.233.637.097.

ომის მიერ გამოწვეული არა პირდაპირი გადასახადები:

ღირებულება ადამიანთა სიცოცხლისა—67.102.453.560.

ღირებულება დაკარგული ქონებისა:

ხმელეთზე—29.960 000.000
ზღვაზე—6.800.000.000
წარმოების ზარალის რაოდენობა—45.000.000.000
დახმარება ომის მიერ დაზარალებულთ—1.000.000.000.
ნეიტრალურ სახელმწიფოების ზარალი—1.750.000.000.

პირდაპირი და არა პირდაპირი გადასახადების ჯამი უდრის სამას ოც და ჩვიდმეტ მილიარდ, რვაას ორმოც და ექვსს მილიონ, ას ოთხმოც და ცხრა ათას ექვსას ორმოცდა ჩვიდმეტ დოლარს.

ეს დოლარები რომ გადავიყვანოთ ჩერვონცებზე მივიღებთ სამოც და ათ მილიარდ ჩერვონეცზე ცოტათი მეტს.

ამის გარდა ამ საერთო ჯამში არ შედის სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა დასახიჩრებულ მოსამსახურეთა უნარიანობის დაკარგვის მიერ მიყენებულ ზარალის რაოდენობა. თუ ამასაც დაუმატებთ ზედ, მაშინ ხარჯები ზედ მეტად გაიზრდება.

ამ ანგარიშით ერთი მოკლული ადამიანის სული ღირებულა მხოლოდ თექვსმეტი ათასი მანეთი.

დასკვნის გამოყვანა მიგვინდვია თვით მკითხველისათვის.

ეს დასკვნები აღძრავენ მასში ომისადმი სიძულვილს.

საერთაშორისო ომს თავისი ამოცანები არ შეუსრულებია და მსოფლიო სდგას ახალი ომის წინაშე, რომელიც თავის საშინელებით დაჩრდილავს ყველა წარსულ ომებს.

კავშირული ცხოვრება

ჩვენი ძლიერება.

1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის კომუჯრედები კარგა ხანია რაც ამოქმედდენ,

სწარმოებს გაძლიერებული მუშაობა.

უმთავრესი ყურადღება მიპყრობილია ჩვენი პარტ-წევრების კულტურულ და პოლიტიკურად აღზრდაზე. ჩვენი საზაფხულო მუშაობის შესავალი აქედან იწყება და სათანადო ნაყოფიც გამოიღო.

სამხკომი ამხ. ბაახია და ბ—კ. მდივანი ამხ. ჭანიშვილი ყოველ წუთს თავს დასტრიალებენ ჩვენს უჯრედებს, და მიუთითებენ მათი მუშაობის დადებით თუ უარყოფით მხარეებზე.

ერთი კვირის წინ; ჩვენი კომუჯრედების კრებები იმართებოდა პარასკეობით, მაგრამ დღეს პარტიულ დღეთ მიჩნეული გვაქვს ხუთშაბათი.

გამომუშავებულ დღის წესრიგს უჯრედებს აწვდის ბიურო-კოლექტივი და მისი მიხედვით უპარტიო წითელ არმიელებთან ერთად ჩვენ ვატარებთ უჯრედების ღია კრებებს.

ამ თუთხმეტი დღის განმავლობაში დიდ შედეგს მივაღწიეთ. უჯრედებში ჩატარებულ იქნა შემდეგი კომპანიები:

1) წითელი არმია და კომპარტია.

2) კომინტერნის მეხუთე კონგრესი.

3). ა. კ. კ. 7-დე ყრილობის შედეგები, არმიის კონფერენციის შესახებ, და „დობრო ფლოტის“ მნიშვნელობაზე.

ყველა საკითხებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ წ. მოლაშქრეები. თითეულ მათგანს გადაღეჭილი აქვს ხსენებული საკითხები.

ბიურო-კოლექტივმა მიზნათ დაისახა მოხსენება გაკეთებულიყო თვით წითელი არმიელების მიერ. კვირეული მიმოხილვის საშვალებით ამასაც წარმატებით ვატარებთ უჯრედებში.

კომუჯრედებში გვყავს მოწესრიგებული ცნობათა ბიურო, დამხმარე ჯგუფები, არჩეულია ლენინის კუთხეების გამგეები, სამხკორ—პარტკორები და სხვა. ყველა ამათ ხელმძღვანელობას უწევს თვით სამხკომი და ბიურო-კოლექტივი.

უფშემადგენლობაც მუშაობს. ისინი დიდ მონაწილეობას ღებულობენ კრებებზე, ამა თუ იმ კითხვის გადაჭრაში.

უპარტიო წითელ არმიელები საკმაოდაა მოზიდული ჩვენი რიგებისაკენ.

ამ ბოლო ხანებში გახშირდა უპარტიო წითელ არმიელებისაგან განცხადებების შემოტანა კომუჯრედში პარტიაში მიღების შესახებ.

კომუჯრედების მუშაობაც საკმაოდ შუქდება გაზეთებში და ამას სჩადიან თვით წითელ არმიელები.

იმედია მომავალში უფრო განმტკიცდება ჩვენი მუშაობა და შევსძლებთ ყველა წითელი არმიელის გულის მოგებას და ჩვენი რიგების ამნაირად გაძლიერებას.

სანი იმნაიშვილი.

მართალია?

ცხენოსან ლეგიონის ბანაკად გასვლის შემდეგ ადგილობრივად მარქაფის სახით დარჩენილია ლეგიონის მეორე ნაწილი-

მართალია თუ არა, რომ აღნიშნული ნაწილი ვერ ღებულობს, როგორც ქართულ, ისე რუსულ გაზეთებს?

მართალია თუ არა, რომ ბანაკად გასული არტდივიზიონი სრულიად ვერ ღებულობს გაზეთებს და განსაკუთრებით გაზეთ „წითელ არმიელს“?

ქართული დივიზიების პოლიტ. განყ. ექსპედიციავ, როდის მიიღებ ზომებს?

ვადიმ.

ახალი ამბები.

სამხ. ტრიბუნალის სესია სურამში. ქართ. დივ. სამხ. ტრიბუნალის სესია ამ დღეებში გაემგზავრება ქალ. სურამს, ადგილობრივ საქმეების გასარჩევათ.

— **დეზერტირების პროცესი.** გუშინ რევტრიბუნალმა გაარჩია 1-ლი ლეგიონის წითელ არმიელების კვანტალიანის და რაზმაძის საქმე. ბრალათ ედებოდათ დეზერტირობა და სახ. ქონების გაფლანგვა.

— **სახლების დათვალიერება.** ხანძარის თავიდან ასაცილებლათ მიღებულ ზომებთა შორის, განზრახულია დათვალიერებულ იქნას მილიციის მიერ ყველა სახლები, რათა იქ მოთავსებულ არ იქნეს ადვილათ ცეცხლ მოსაკიდებელი ნივთები.

რკინის გზის ხიდი ავჭალაში. ზემო ავჭალაში, მტკვარზე აშენებენ რკინის გზის ხიდს ვიწრო ლიანდაგიანი გზისათვის, რომლის საშუალებით მასალას მიაწოდებენ ჯებირის ასაშენებლათ მტკვარზე.

— **ბათომის მუზეუმი.** აჭარის სახკომსაბჭოს დადგენილებით ბათომის მუზეუმს ეწოდება „აჭარისტანის რესპუბლიკის მუზეუმი.

— **ახალი სკოლები აჭარაში.** მომავალი სამოსწავლო წლიდან, აჭარის სახკომსაბჭოს დადგენილებით მთელ აჭარაში გაიხსნება 40 ახალი სკოლა.

— **ტანსავარჯიშო მოედანი ქუთაისში.** ყოფილ ხარაზოვის ბაღში ტანსავარჯიშო მოედნის მოსაწყობათ სამაზრო აღმასკომმა გადასდო 1754 მანეთი.

— **საჰაერო მიმოსვლა ტფილის-მანგლის შორის.** მანგლისში ჰაეროდრომის მოწყობა დასრულდა და 6 აგვისტოდან დაიწყება სისტემატიური მიმოფრენა.

— **ლენინის ბაღი.** ლენინის ბაღზე რკინის მოაჯირის შევლება დასრულდა. ბაღი გაიხსნება მოკლე ხანში.

— **წყალსადენის გაყვანა სუფსაში.** ოზურგეთის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა სუფსაში გაეყვანოს სასმელი წყალი.

— **ზუგდიდის გამშვენიერება.** ზუგდიდის სამაზრო აღმასკომმა დაავალა ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას შეუდგეს მუშაობას ქალაქის ქუჩების დასაგეგმავათ და გასამშვენიერებლათ.

— **თელავის სახალხო სახლისთვის.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა მისცეს თელავის სახ. სახლს ერთდროული დახმარების სახით 1000 მანეთი.

— **ტელეფონი სოფლათ.** ოზურგეთის სამაღმასკომმა განიზრახა გაიყვანოს ტელეფონი სოფ. დვაბზუში (გურია).

— **მოხეტიალე მუსიკოსები.** მეჰიანურე ამირაჯიბმა და მეგარმონე დიკმა გადასწყვიტეს ტფილისში ცის ქვეშ გამართონ კონცერტები და შემდეგ ჩამოიარონ ყველა აგარაკები.

— **ქართული სტუდია მოსკოვში.** მჭედლიშვილის სახელობის ქართული სტუდიის შესანახათ მოსკოვში საქ. სახკომსაბჭომ გადასდო 14.986 მან.

შეცდომის გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ის 557 კორესპოდენციაში:

„დაუშვებელი გულგრილობა“ (რაზედ გვწერენ). აღნიშნულ მოვლენას ადგილი აქვს მეოთხე ლეგიონის მეოთხე ასეულში.

≡მეცნიერება და ტეხნიკა≡

ელექტრონის მოპოება ჰაერიდან.

თანამედროვე ტეხნიკა ძლიერ დაინტერესებულია ჰაერის დამუშავებით. ჯერ კიდევ მსოფლიო იმპერიალისტურ ომის დროს, გერმანელები მრავალ სხვა და სხვა ქიმიურ შეერთებას ღებულობდენ ჰაერიდან, რომლებსაც წარმატებით იყენებდენ ცხოვრებაში.

ამ ჟამად ჰაერიდან სურთ მიიღონ გათბობის და განათების მიზნით ელექტრონული ენერგიაც.

ცნობილია, რომ თუ ჩვენ ლითონის ნაჭერს ავიტანთ მაღლა ჰაერში, ის იმ წამსვე იტენება დადებითი ელექრობით. ესმოვლენა დიდი ხნიდან იყო ცნობილი, მაგრამ მისი გამოყენება აქამდე ვერ მოახერხეს.

1922 ნოემბრიდან ინდოეთის ჩრდილო აღმოსავლეთის ერთ მივიწყებულ სოფელში, ცნობილი ფიზიკოსი ბახატარია აწარმოებს ცდას ამ მიმართულებით. მას სურს იმდენი ელექტრობის მოპოება შესძლოს ჰაერიდან, რომ ის გამოყენებული იქნეს წარმოებაში. მან აუშვა ჰაერში ალიუმინის ბირთვები. ბირთვების ზედაპირი დაფარულია ლითონით, რომელიც აგროვებს ჰაერში ელექტრობს და აწვდის ძირს იმ მავთულით, რომლითაც დამაგრებული არიან ჰაერში ასული ბირთვები. რომ მსუბუქი ყოფილიყო ეს ბირთვები, ბახატარიამ აავსო ისინი წყალბადით. ასეთი წესით ბახატარიამ მიიღო ელექტროობის საგრძნობი რაოდენობა.

ბახატარიას ცდებმა შეიძლება თავის თავად ვერ მოიტანოს სასურველი შედეგები, მაგრამ ამ საკითხს ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალში.

ვინ იცის მომავალში როგორი კრიზისი დაუდგება სათბობი მასალის მხრივ კაცობრიობას. ამ მხრივ ჰაერიდან ელექტროობის მოპოებას პირდაპირ განუზომელი მნიშვნელობა ექნება.

პატარა ფელეტონი.

„ქველმოქმედნი“

საღამური პატარა ლამფები №-ს ლეგ. ყაზარმაში ოდნავად ბჟუტავდენ. მეორე სართულში მძინარე წითელარმიელთა ხვრინვა გაისმოდა. იდგა მძიმე, მყავე სუნი ოფლისა. დღიური კარებთან ჩამომჯდარიყო და სთვლემდა. ყაზარმის განაპირა კუთხეში, სიბნელეში წითელ-არმიელი პეტრე უნებაძე თავს კარგად ვერა გრძნობდა, შუბლზედ ცივს ოფლს დაესხა და გაბურძგნული თმა ზედ მიჰკროდა. ნაშუადღევისას ნაქეიფარს ცოტა არ იყოს თავი მძიმედ ჰქონდა, ყურები უბჟუოდა და პირი უგემურად გამოჰშრობოდა. წყალი სწყუროდა და ეგ არის, წამოდგომა და გავლა ეზარებოდა.

„ძალიან ზორბად კი გადავკარით, აი,—ჰფიქრობდა უნებაძე, იარმუკაში ძალიან ღვინო ჰქონიათ... პირდაპირ მირონია, რადა!. ჩვენებურ კოწახურა ღვინოს არა გავს!.. ხორაგიც კარგი იყო. გიყვარდეს დღეს ნიკორა კამეჩივით გამოვილმურძლე, შენისა!!. ღმერთმა ააშენა „ბატინკების“ პატრონი, რო ისე უპატრონოთ დაეტოვებია საწოლ ქვეშ... ივანიკას ბრალია, თორე ის უფრო მეტს მოგვცემდა... უფ! ეს ოხერი, თავი როგორა მტკივა... წავიდე, წყალი დავლიო, მეტი ჩარა არაა.—წამოდგა დიდის ზლაზვნით პეტრე და ფარფატით წყლის ბაკთან გაემართა, დალია წყალი, გააჩაღა პაპიროსი და მოწყვეტილი ლოგინზედ დაეშვა.

— ბოშო, რა სპილოს ხორთუმივით ჩამოგიშვია ცხვირი?—წაჰკრა ხელი გამოღვიძებულმა, პეტრეს მეზობელმა წითელ არმიელმა, ივანიკა გაიძვერაძემ.

— თავი ხის კუნძივითა მაქ გაბრუებული, ყურები მიბჟუის,—შესჩივლა პეტრემ.

— იმე, ტეტია! „პახმელია“ გინდა. ერთი ბოთლი სულ გაგაგურულებს.

— უშენოთაც ვიცი, რომ ღვინო მარგებს, მაგრამ ფულები „იოხტურ“. შენი ბრალია... ისე იაფად რო არ გაგვეყიდნა იი... ეხლა ესე არ ვიქნებოდი. მერე სულ იმ რჯულძაღლმა მარუსკამ წამართვა... მერე იცი, რა გითხრა! ძალიან კაი გოგო კია.

— კი! კაი რამეა, თუ რამე არ აკკიდა,—ირონიით შენიშნა ივანიკამ.

— კაცო, მაგას თავი დავანებოთ და ჩემს თავს მორჩენა უნდა...

— აჰა კედელი, აჯახე და მოგირჩება! ხა-ხა-ხა!

— ნუ ხუმრობ, იქნებ შენა გაქვს ფული?

— საიდან მექნება, შე კაცო! რაც მქონდა, მე შენთან არ დავხარჯე... პეტრე!—ჩუმად წასჩურჩულა ივანიკამ, როდესაც ერთ ცარიელ საწოლზედ ფარაჯა დაინახა, ეს ყმაწვილი სად არის?

— რა ვიცი! მგონი, ქვევით თავის მეზობელთან ჩავიდა.

— აპა, მე მოგარჩენ ერთ საათში! შენ წადი დღიურს უთვალთვალე...

დაიცა... გაადე ქუჩაში რომ ფანჯარაა... ჰო ეგრე. ეხლა წადი, როცა მოვალ თოკი გადმომიგდე, მხოლოდ მაგრა მოაბი, თორემ გუშინ წინ, კინაღამ ცხვირ-პირი დევიმტვრიე... შოშიასავით დოუშტვენ... გეიგე აპა, წადი.

ივანიკამ ფარაჯა გადაიცვა და ფანჯარისაკენ ფეხ-აკრეფით გაემართა. ფრთხილად ავიდა ზედ და ქუჩაში ხელის კუნთებით გადაეკიდა. უცბად მოუშვა ხელები და სამი საჟენის სიმაღლიდან დედამიწაზედ ფეხის წვერებზე დაეცა. კედელ-კედელ აკრული გაჰყვა და სიბნელეში მიიმალა.

პეტრეს თვალი არ მოუხუჭავს, უცდიდა ივანიკას... წყურვილი უფრო და უფრო ემატებოდა... უცბად შემოესმა შოშიას სტვენა. თოკი მაგრა გამოაბა და მეორე ბოლო ძირს გადააგდო.

— აჰაა, დაიჰი ჩახეთქე... ეს ბოთლი ღვინო და ესეც სულგუნი და ძეხვები.. კაი ფასში გავყიდე.. ხვალის საქეიფო ფულიც დამრჩა. მეორე დღეს პეტრე უნებაძე და ივანიკა გაიძვერაძე სხვებთან ერთათ აღშფოთებულნი იყვენ ქურდობით.

— აფხანიკებო! მისთანა ადამიანი, რომელიც თავის აფხანიკს არ ინდობს, უნდა როგორც კატა დეიხვრიტოს;. საწყალი საბრალიძე რავა მებრალება, მარა რას იზამ ეხლა უმაზაროთ?!

— ბიჭო დაა, იქნება სადმე დაგრჩა?—ეკითხებოდა პეტრე,—იქნება გუშინ სადმე მიგავიწყდა?

— რას ამბობ, კაცო? აი, ამ ოხერ საწოლზედ გადავკიდე ქალაქიდან რომ დავბრუნდი.. მერე ჩვენებიანთ გიორგასთან ჩავედი სალაპარაკოდ და რო ამოვედი ფარაჯა აღარ დამხვდა,—საცოდავად მოსთქვამდა საბრალიძე.

— კაცო, ნუ თუ მაგისთანა რჯულძაღლები გვყავს აქა, რომ კაცს თავის მეზობელთან ვერ დაულაპარაკნია, რომ ან ბატინკები და ან მაზარა არ მოჰპარონ.. დაგწყევლა ღმერთმა,.. აღშფოთებით ამბობდა პეტრე უნებაძე.

— უნდა დეიჭირო მაგისთანა ქურდი და სულ ცხვირის ნესტოები დაუჩეჩქვო!—არ სცხრებოდა ივანიკა.

შუადღის შემდეგ ივანიკა საბრალიძესთან მივიდა.

— უბედური შემთხვევა გეწვია.. მეცოდები, თავი არ მომიკვდება, მე ქველმოქმედი კაცი ვარ, წამო, ქალაქში თითო ჭიქა ღვინო გადავკრათ ამ გაბრაზებულ გულზედ, წავიდეთ პეტრე,—საბრალიძე ზლაზვნით გაჰყვა პეტრესა და ივანიკას გრიშოს დუქანში. რამოდენიმე საათის შემდეგ ეს სამება კარგად შეზარხოშებული ბოთლების ბატარეას შემოსხდომოდენ გრიშოს დუქანში.

— შენ, ჩემო საბრალიძევ, ძალიან მენანები,—ეხვეოდა ივანიკა საბრალიძეს,—უმაზარო დარჩი, მარა ის მამაცხონებული ქურდი უნდა დევიჭიროთ და ნიგოზივით ვბერტყოთ.

— მართალს ამბობს ივანიკა. სადგისებით უნდა დაიჩხვლიტოს, საცერისავით გაცხავდეს. ჩუსტის ჯღანივით, მაგრამ ქურდი ერთი ფინთი ვინმე იქნება, მეორე სვინდისიანი, ქველ მოქმედი; ერთი, ვა! მოიპარავს და თითონ შესტქვლიფავს. არა, შე დალოცვილო, ცოტა პატრონსაც არგე და!.. მოდით, იცი რაა? მოდი ეს გაუმარჯოს ისეთ სვინიდისიან ქურდებს, რომელნიც რადა, ქველმოქმედები არიან. თითონაც სარგებლობენ და სხვებსაც არ აწყენინებენ!. ამ სიტყვებზედ პეტრემ ეშმაკურად გადახედა ივანიკას, რომელმაც მას მრისხანეთ შეჰბღვირა.

— გაუმარჯოს! გაუმარჯოს!—ღრიალებდენ პეტრე და ივანიკა, საბრალიძე კი ძალზედ მთვრალი, მოწყვეტილი, თავს მომაკვდავ ბღურასავით აქნევდა და გაბრუებულს არაფერი ესმოდა. ღამის წყდვიადში „ქველმოქმედი“ ყაზარმისაკენ მიათრევდა თავის მსხვერპლს.

გოჩმანი.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.